

# დახურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფინანსური ანგარიშგება  
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
წლისათვის

# დახურული სააქციო საზოგადოება პრობრუს ბანკი

## სარჩევი

---

### გვერდი

ხელმძღვანელობის კასუხილმბებლობის ანგარიში 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოღბენილი ფინანსური ანგარიშბების მომზადბასა და დამტკიცბბასუ

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა 2-3

ფინანსური ანგარიშბბა 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

სრული მოგება-ზარადის ანგარიში 4

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 5

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში 6

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 7-8

ფინანსურ ანგარიშბებათან არსებული შენიშვნები 9-52

## დახურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

**ხელმძღვანელობის პასუხი მდგომარეობის ანგარიში 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს დახურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკის (შემდგომში "ბანკი") ფინანსურ მდგომარეობას 2009 წლის 31 დეკემბრისათვის, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული პერიოდისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შედარებით და გარკვეულ ინფორმაციას, და
- ბანკის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ბანკში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვაზე და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომლებიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფენ ბანკის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას, და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ს მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ბანკის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაშვებად ხელმოწერილ იქნა 2010 წლის 5 მარტს.

ხელმძღვანელობის სახელით:

---

კონსტანტინე სულამანიძე  
გენერალური დირექტორი  
მარტი 5, 2010  
თბილისი, საქართველო

---

ზვიად იმედიძე  
მთავარი ბუღალტერი  
მარტი 5, 2010  
თბილისი, საქართველო

## **დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა**

დახურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკის აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

### **დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ**

ჩვენ ჩავატარეთ დახურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკის („ბანკი“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული მოგება-ზარალის ანგარიშს, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშებს 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-გამარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს. ბანკის ფინანსური ანგარიშგება 2007 წლის 30 ნოემბრით (დაარსების თარიღი) დაწყებული და 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის აუდირებულ იქნა სხვა აუდიტორთა მიერ, რომელთა 2009 წლის 31 მარტით დათარიღებული ანგარიში წარმოადგენს უპირობო დასკვნას იმ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემული გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა**

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყდნობით გამოვთქვით მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარისს და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

## **დასკვნა**

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს, ყველა არსებით ასპექტში, ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

*მარტი 5, 2010*

*თბილისი, საქართველო*

**დასრულებული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი**

სრული მოგება-ზარალის ანგარიში  
 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 (ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2007 წლის 30 ნოემბრიდან (დაარსების თარიღი) 2008 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისათვის
საპროცენტო შემოსავალი	5, 22	1,713	1,236
საპროცენტო ხარჯი	5, 22	(109)	(39)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივების განუზღვრების რეზერვის ხარჯის აღიარებამდე		1,604	1,197
საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივების გაუზღვრების რეზერვის ხარჯი	6, 22	(75)	(76)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		1,529	1,121
წმინდა მოგება უცხოური ვალუტით გახორციელებული ოპერაციებიდან	7	55	403
საკომისიო შემოსავალი	8	26	8
საკომისიო ხარჯი	8	(9)	(3)
სხვა შემოსავალი		27	5
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი		99	413
საოპერაციო შემოსავალი		1,628	1,534
საოპერაციო ხარჯი	9, 22	(2,071)	(2,174)
ზარალი მოგების ბალანსხაღამდე		(443)	(640)
მოგების გადასახადის სარგებელი	10	36	95
სულ სრული მოგება-ზარალი		(407)	(545)

ხელმძღვანელობის სახელით:

კონსტანტინე სულამანიძე  
 გენერალური დირექტორი

მარტი 5, 2010  
 თბილისი, საქართველო

ზვიად იმედიძე  
 მთავარი ბუღალტერი

მარტი 5, 2010  
 თბილისი, საქართველო

9-52 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები შეადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში  
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	დეკემბერი 31, 2009	დეკემბერი 31, 2008
<b>აქტივები:</b>			
ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	11	1,263	599
მოთხოვნები ბანკების მიმართ	12, 22	2,415	5,867
კლიენტებზე გაცემული სესხები	13, 22	5,962	2,844
ძირითადი საშუალებები	14	3,143	3,443
გადავადებული მოგების გადასახადი	10	131	95
არამატერიალური აქტივები	15	198	196
სხვა აქტივები	16	13	193
<b>სულ აქტივები</b>		<b>13,125</b>	<b>13,237</b>
<b>ვალდებულებები და კაპიტალი:</b>			
<b>ვალდებულებები:</b>			
კლიენტთა ანგარიშები	17, 22	490	274
სხვა ვალდებულებები	18	45	72
სუბორდინირებული სესხი	19, 22	1,542	1,436
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>2,077</b>	<b>1,782</b>
<b>კაპიტალი:</b>			
სააქციო კაპიტალი	20	12,000	12,000
დაგროვილი ზარალი		(952)	(545)
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>11,048</b>	<b>11,455</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>13,125</b>	<b>13,237</b>

ხელმძღვანელობის სახელით:

კონსტანტინე სულამანიძე  
გენერალური დირექტორი

მარტი 5, 2010  
თბილისი, საქართველო

ზვიად იმედიძე  
მთავარი ბუღალტერი

მარტი 5, 2010  
თბილისი, საქართველო

9-45 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები შეადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## დასურული სააქციო საზოგადოება პრობრემს ბანკი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში  
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
<b>ნოემბერი 30, 2007</b> (დაარსების თარიღი)		-	-	-
სულ სრული მოგება-ზარალი დაარსებიდან 2008 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისათვის		-	(545)	(545)
ჩვეულებრივი აქციების გამოსვლა		12,000	-	12,000
<b>დეკემბერი 31, 2008</b>		<b>12,000</b>	<b>(545)</b>	<b>11,455</b>
სულ სრული მოგება-ზარალი წლისათვის		-	(407)	(407)
<b>დეკემბერი 31, 2009</b>		<b>12,000</b>	<b>(952)</b>	<b>11,048</b>

ხელმძღვანელობის სახელით:

კონსტანტინე სულამანიძე  
გენერალური დირექტორი

მარტი 5, 2010  
თბილისი, საქართველო

ზვიად იმედიძე  
მთავარი ბუღალტერი

მარტი 5, 2010  
თბილისი, საქართველო

9-52 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები შეადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი**

**ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში**  
**2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**  
*(ათასობით ქართულ ლარში)*

	შენიშვნა	2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2007 წლის 30 ნოემბრიდან (დაარსების თარიღი) 2008 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისათვის
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:</b>			
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		1,698	1,207
გადახდილი საპროცენტო ხარჯი		(2)	(3)
მიღებული საკომისიო		26	8
გადახდილი საკომისიო		(9)	(3)
მოგება სავალუტო ოპერაციებზე		55	403
სხვა მიღებული სარგებელი		27	5
გადახდილი საოპერაციო ხარჯები		<u>(1,642)</u>	<u>(2,041)</u>
საოპერაციო საქმიანობისათვის გამოყენებული ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		153	(424)
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში (ზრდა)/შემცირება საოპერაციო აქტივებში:			
მინიმალური სავალდებულო დეპოზიტი			
საქართველოს ეროვნულ ბანკში		(3)	(4)
მოთხოვნები ბანკების მიმართ		3,443	(5,856)
კლიენტებზე გაცემული სესხები		(3,169)	(2,902)
სხვა აქტივები		62	(73)
(ზრდა)/შემცირება საოპერაციო ვალდებულებებში:			
მომხმარებელთა ანგარიშები		215	274
სხვა ვალდებულებები		<u>(12)</u>	<u>38</u>
წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		<u>689</u>	<u>(8,947)</u>
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:</b>			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(1)	(3,658)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		<u>(27)</u>	<u>(200)</u>
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული ფულადი სახსრების მოძრაობა		<u>(28)</u>	<u>(3,858)</u>

## დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში  
 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრძელება)  
 (ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2007 წლის 30 ნოემბრიდან (დაარსების თარიღი) 2008 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისათვის
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:</b>			
სააქციო კაპიტალის გამოშვება		-	12,000
სუბორდინირებული სესხის გადახდა		-	(155)
სუბორდინირებული სესხებიდან მიღებული სახსრები		-	1,555
წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		-	13,400
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		661	595
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	11	595	-
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	11	1,256	595

ხელმძღვანელობის სახელით:

კონსტანტინე სულამანიძე  
 გენერალური დირექტორი

მარტი 5, 2010  
 თბილისი, საქართველო

ზვიად იმედიძე  
 მთავარი ბუღალტერი

მარტი 5, 2010  
 თბილისი, საქართველო

9-52 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები შეადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# დახურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ქართულ ლარში)

---

## 1. ორგანიზაცია

სს პროგრეს ბანკი („ბანკი“) არის დახურული სააქციო საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2007 წლის 30 ნოემბერს. ბანკის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ“). ბანკი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ საბანკო საქმიანობის №0110244 გენერალური ლიცენზიის საფუძველზე. ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული საქმიანობა, უცხოური ვალუტით ვაჭრობა, სესხების და გარანტიების გაცემა და მომხმარებელთა ანგარიშების მოზიდვა.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ბარათაშვილის 8.

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს საქართველოში გააჩნდა ერთი ფილიალი თბილისში (2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნდა ფილიალი).

ბანკს სრულად ფლობს სს კალა კაპიტალი, რომელიც წარმოადგენს ბანკის ძირითად დამფუძნებელს. ძირითად დამფუძნებელს აკონტროლებს ინდივიდუალური პირი – კახა კალაძე.

ეს ფინანსური ანგარიშგება დირექტორთა საბჭოს მიერ ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2010 წლის 5 მარტს.

## 2. წარდგენის საფუძველი

### *ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი*

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასსს) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (ფაისკ) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ახლო მომავალში გაარქვებს მუშაობას. ბანკი დაარსდა 2007 წლის ნოემბერში და იმყოფება კლიენტების მომსახურებისათვის საჭირო ოპერაციების შემუშავების პროცესში. 2007 წლის ნოემბრით დაწყებული 2008 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისათვის ბანკმა სააქციო კაპიტალის სახით მიღებული საკუთარი ფინანსური რესურსების ინვესტირება განახორციელა ბანკებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებში და 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მან წამოიწყო სესხების გაცემა კლიენტებზე. ბანკის ხელმძღვანელობასა და აქციონერებს გადაწყვეტილი აქვთ 2010 წლიდან განავითარონ ბანკის ბიზნესი საქართველოში როგორც მცირე, ასევე მსხვილ ბიზნეს სეგმენტში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი მართებულია ბანკისათვის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტიდან გამომდინარე. 2009 და 2008 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (სულ კაპიტალის კოეფიციენტი), როგორც აღწერილია 24-ე შენიშვნაში, შესაბამისად შეადგენს 103.45% და 95.37%-ს.

## დახურული სააქციო საზოგადოება პრობრემს ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრკელება)  
(ათასობით ქართულ ლარში)

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონვენციის შესაბამისად.

### ანგარიშგების ვალუტა

ბანკის ფინანსური ანგარიშგება გამოისახება იმ ვალუტის საშუალებით, რომელიც საუკეთესოდ ასახავს იმ საფუძველად დადებული მოვლენებისა და გარემოებების ეკონომიკურ შინაარსს, რომლებიც შეესაბამება ბანკის ოპერაციებს (“ანგარიშგების ვალუტა”). წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ვალუტაა ქართული ლარი.

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

#### ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ასახვა ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშზე ხორციელდება მაშინ, როდესაც ბანკი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეგულარული ხასიათის მქონე შესყიდვების და რეალიზაციის ასახვა ხდება ანგარიშსწორების განხორციელების დღეს. ფინანსური ინსტრუმენტების რეგულარული ხასიათის მქონე შესყიდვები, რომლებიც შემდგომში სამართლიანი ღირებულებით აისახება გარიგების დადების მომენტიდან ანგარიშსწორების დღემდე, აღირიცხება ისევე, როგორც შესყიდული ინსტრუმენტები.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივისა და ვალდებულების შესყიდვასა და გამოშვებას, გარდა იმ ფინანსური აქტივისა და ვალდებულებისა, რომელიც სრული მოგების ანგარიშში აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების შემდგომი შეფასების პოლიტიკა განხილულია ქვემოთ წარმოდგენილ შესაბამის ბუღალტრულ პოლიტიკაში.

#### ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამოწერა

##### ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები (ან სადაც შეესაბამება ფინანსური აქტივების ნაწილი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილი) ჩამოწერას ექვემდებარება როდესაც:

- აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების ვადა ამოიწურა;
- ბანკმა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება გადასცა, ან უფლება დაიტოვა, მაგრამ აიღო ვალდებულება „გადაცემის წესის” საფუძველზე სრულად გადაუხადოს მესამე მხარეს მნიშვნელოვანი დაგვიანებების გარეშე; და
- ბანკმა ან (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველანაირი მოგება და ზარალი, ან (ბ) არ გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველანაირი მოგება და ზარალი, თუმცა გადასცა აქტივზე კონტროლის უფლება.

## დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრძნობა)  
(ათასობით ქართულ ლარში)

ფინანსური აქტივი ჩამოიწერება, როდესაც იგი იქნება გადაცემული და გადაცემა წარმოადგენს ჩამოწერას. აქტივი გადაცემულად ჩაითვლება, როცა ბანკი ან: (ა) გადასცემს აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებას მესამე მხარეს; ან (ბ) დაიტოვებს უფლებას, მაგრამ აიღებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას გადაუხადოს მესამე მხარეს აქტივიდან შემომავალი ფულადი სახსრები. გადაცემის შემდეგ ბანკი აფასებს გადაცემული აქტივის ფლობისას მიღებულ მოგებასა და ზარალს. თუ ფინანსური აქტივიდან შემომავალი მოგებისა და ზარალის ძირითადი ნაწილის აღიარებაზე პასუხისმგებელი რჩება ბანკი, მაშინ აქტივი აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი გადაეცემა მესამე მხარეს, მაშინ ხდება აქტივის ჩამოწერა. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი არც გადაეცა და არც შენარჩუნდა, ბანკი აფასებს რამდენად შეინარჩუნა აქტივზე კონტროლი. იმ შემთხვევაში თუ კონტროლი არ შენარჩუნდა აქტივი ექვემდებარება ჩამოწერას. იმ შემთხვევაში სადაც აქტივის კონტროლი შენარჩუნებულია იგი აგრძელებს აქტივის აღიარებას მისი უწყვეტი მონაწილეობის გათვალისწინებით.

### *ფინანსური ვალდებულებები*

ფინანსური ვალდებულებები ჩამოწერას ექვემდებარება, როდესაც ვალდებულება სრულდება, გაუქმდება, ან გასდის ვადა. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების ჩამოწერად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა ნარჩენ ღირებულებებს შორის აისახება სრული მოგება-ზარალის ანგარიშში.

### **ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში, თავისუფალ სახსრებს საკორესპონდენტო და ვადიან სადეპოზიტო ანგარიშებზე საქართველოს ეროვნულ ბანკში და იმ ქვეყნების ბანკებში განთავსებულ სახსრებს 90 დღემდე დაფარვის ვადით, რომლებიც შედიან ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში (ეგთო).

საქართველოს ეროვნულ ბანკში მინიმალური რეზერვის გამოყენება ექვემდებარება შეზღუდვას და არ განეკუთვნება ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

### **მოთხოვნები ბანკების მიმართ**

ჩვეული საქმიანობის პროცესში ბანკი განათავსებს სახსრებს და ახორციელებს შენატანებს სხვა ბანკებში სხვადასხვა ვადით. მოთხოვნები ბანკების მიმართ თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში მოთხოვნები ბანკების მიმართ აისახება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საკრედიტო ორგანიზაციებიდან მისაღები თანხები აისახება ყველანაირი გაუფასურების დანაკარგის გამოკლებით.

## დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრკელება)  
(ათასობით ქართულ ლარში)

### კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები წარმოადგენს არადერივატულ აქტივებს, ფიქსირებული, ან განსაზღვრული ფასებით, რომელიც არ არის კოტირებული მზარდი მოთხოვნების ბაზარზე, გარდა სხვა ფინანსური აქტივების კატეგორიებში კლასიფიცირებული აქტივებისა.

ბანკის მიერ გაცემული სესხები, თავდაპირველად აღიარებას ექვემდებარება სამართლიანი ღირებულებით, გარიგების ყველა ხარჯის გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივების შესყიდვასა და შექმნასთან, სადაც სამართლიანი ღირებულებით ასახული ანაზღაურება არ უდრის სესხის სამართლიან ღირებულებას, მაგალითად როდესაც სესხის გაცემა ხდება საბაზროზე ნაკლები განაკვეთით, მათ შორის სხვაობა აისახება როგორც დანაკარგი სესხის თავდაპირველი აღიარებისას და იგი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშში შესაბამისი ტიპის დანაკარგების ქვეჯგუფში. შედეგად, სესხის ნარჩენი ღირებულება აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით მოსალოდნელ დაფარვის ვადაზე დაყრდნობით. კლიენტებზე გაცემული სესხები აისახება გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

### ჩამოწერილი სესხები და ავანსები

სესხებისა და ავანსების ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების გაუფასურების დანაკარგის რეზერვთან მიმართებაში. სესხები და ავანსები ექვემდებარება ჩამოწერას იმ შემთხვევაში თუ ხელმძღვანელობამ ამოწერა ბანკების მიმართ მოთხოვნების ამოღების ყველა შესაძლებლობა და მოახდინა ყველა შესაძლო უზრუნველყოფის რეალიზება. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა ხდება ფინანსური აქტივების გაუფასურების გაქვითვით, და აისახება სრული მოგების ანგარიშში აღდგენის პერიოდში.

### გაუფასურების დანაკარგების რეზერვი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური საფუძველის არსებობის შემთხვევაში, თუ ისინი არ არიან სამართლიანი ღირებულებით ასახული, ბანკი აღგენს ამ ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ნარჩენ ღირებულებასა და მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის, გარანტიებიდან და უზრუნველყოფიდან მიღებული თანხების გათვალისწინებით, რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, იმ ფინანსური აქტივებისათვის, რომელიც წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების რეზერვი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად მივაკუთვნოთ გაუფასურების რეზერვის აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარ მოვლენებს, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების რეზერვი კორექტირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის შემცირებით.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება კორექტირებას.

# დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრკელება)  
(ათასობით ქართულ ლარში)

გაუფასურების რეზერვის განსაზღვრა ეფუძნება რისკიანი აქტივების ანალიზს და ასახავს იმ თანხას, რომელიც ხელმძღვანელობის განსჯით ფარავს შესაბამის დანაკარგს. რეზერვები განისაზღვრება რისკიანი აქტივების ინდივიდუალური შეფასებით იმ ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია და ინდივიდუალური ან ჯგუფური შეფასებით იმ აქტივებისათვის, რომლებსაც ინდივიდუალურად არ გააჩნია დიდი მნიშვნელობა.

გაუფასურების რეზერვის ცვლილება აისახება მოგებაზე რეზერვის ხარჯის ანგარიშის საშუალებით (ამორტიზირებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისათვის), ან პირდაპირი ჩამოწერით (ნარჩენი ღირებულებით ასახული აქტივებისათვის). ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახულ აქტივებს აკლდება გაუფასურების თანხა. გაუფასურების რეზერვის ობიექტური საფუძველის განსაზღვრისათვის, ბანკი განიხილავს ისეთ ფაქტორებს როგორცაა მსესხებლის ლიკვიდურობა, გადახდისუნარიანობა, ბიზნესისა და ფინანსური რისკების მიმართ დამოკიდებულება, მსგავსი ფინანსური აქტივების გადაუხდელობის ხარისხი და ტენდენციები, ადგილობრივი ეკონომიკის ტენდენცია და მდგომარეობა, აგრეთვე უზრუნველყოფისა და გარანტიების საბაზრო ღირებულება. აღნიშნული და სხვა ფაქტორები, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, წარმოადგენენ ფინანსური აქტივის ან აქტივების ჯგუფის გაუფასურებისათვის საკმარის ობიექტურ საფუძველს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზარალის შეფასება მოიცავს სუბიექტურ ფაქტორებს. ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აღრიცხული გაუფასურების რეზერვი საკმარისია რისკს დაქვემდებარებულ აქტივებზე განცდილი დანაკარგების დასაფარად ანგარიშგების თარიღისათვის, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ გარკვეულ პერიოდში ბანკმა განიცადოს დანაკარგები, რომლებიც უფრო მეტია, ვიდრე აღრიცხული გაუფასურების რეზერვი.

## ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აისახება ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

შენობა-ნაგებობები და სხვა უძრავი ქონება	2%
ავეჯი და აღჭურვილობა	8%-20%
კომპიუტერები და საოფისე მოწყობილობა	8%-20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	15%
არამატერიალური აქტივები	10%

იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება ამორტიზაციას ექვემდებარება იჯარით აღებული აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდის გათვალისწინებით. რემონტისა და გაუმჯობესების ხარჯები აისახება გაწვევისთანავე და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს, იმ შემთხვევაში თუ არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

## დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრკელება)  
(ათასობით ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის იმისათვის, რომ დადგინდეს აღემატება თუ არა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება მათ აღდგენით ღირებულებას. აღდგენითი ღირებულება აღემატება სამართლიან ღირებულებას გაყიდვის ხარჯების და არსებული ღირებულების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების აღდგენით ღირებულებაზე გადამეტების შემთხვევაში, აქტივები ექვემდებარება შემცირებას მათ აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურებით მიღებული დანაკარგების აღიარება ხდება შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების ასახვის შემდეგ, ხდება ძირითადი საშუალებების ცვეთის კორექტირება შემდგომ პერიოდებში, იმისათვის რომ თანაბრად გადანაწილდეს გაანგარიშებული აქტივების საბალანსო ღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (თუ ასეთი არსებობს) დარჩენილ სასარგებლო მოხმარების პერიოდზე.

### გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია სრული მოგება-ზარალის ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას, ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომლებიც საერთოდ არ ექვემდებარებიან დაბეგვრას ან გამოქვითვას. ბანკის მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებდა ანგარიშგების პერიოდისათვის.

გადავადებული გადასახადი არის გადასახდელი ან გასაქვითი გადასახადი, რომელიც მოსალოდნელია წარმოიქმნას ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა შორის სხვაობაზე და შესაბამის დასაბეგრ ბაზაზე, რომელიც გამოიყენება დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისათვის და აისახება საბალანსო უწყისის ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დასაბეგრი დროებითი განსხვავებებისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმ ფარგლებში, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომელსაც გამოაკლდება გამოსაქვითი დროებითი სხვაობა. ასეთი აქტივები და ვალდებულებები არ ექვემდებარება აღიარებას, თუ დროებითი სხვაობა წარმოიშობა სხვა აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებიდან ისეთ ტრანზაქციებში (საწარმოთა გაერთიანების გამოკლებით), რომლებიც არ ახდენენ გავლენას საგადასახადო და ბუღალტრულ მოგებაზე.

## დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრძნობა)  
(ათასობით ქართულ ლარში)

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარებას ექვემდებარება დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რაც თავს იჩენს ძირითად საშუალებებსა და გარე საბალანსო ვალდებულებების რეზერვში, იმ შემთხვევის გამოკლებით როდესაც ბანკი აკონტროლებს ცვლილებას და ახლო მომავალში ამ დროებითი სხვაობის რეზერვის წარმოქმნა არ არის ნავარაუდები. გამოსაქვითი დროებითი სხვაობებიდან წარმოქმნილი გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება, თუ საგადასახადო მოგება დროებითი სხვაობის მოგების უტილიზაციისათვის სავარაუდოდ საკმარისი იქნება და ახლო მომავალში ამ დროებითი სხვაობის რეზერვის წარმოქმნა ივარაუდება.

გადავადებული საგადასახადო აქტივების ნარჩენი ღირებულება ექვემდებარება გადახედვას ყოველი საბალანსო პერიოდისათვის და მცირდება იმდენად, რამდენადაც აღარ არსებობს საკმარისი დასაბეგრი მოგების მოლოდინი, რომელიც გამოყენებული იქნება ყველა ან ზოგიერთი აქტივის აღსადგენად.

გადავადებული გადასახადი იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების გასტუმრების ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის. გადავადებული გადასახადი აისახება მოგებასა და ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაკავშირებულია უშუალოდ იმ ერთეულებთან, რომლებიც პირდაპირ აისახებიან სხვა სრულ მოგებაში. ასეთ შემთხვევაში გადავადებული გადასახადი ასევე აისახება სხვა სრულ მოგებაში.

გადავადებული მოგების აქტივები და ვალდებულებები გაიქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება წმინდად, თუ:

- ბანკს აქვს იურიდიული ძალა მოახდინოს მიმდინარე მოგების აქტივის გაქვითვა მოგების ვალდებულებებთან მიმართებაში; და
- გადავადებული მოგების აქტივები და ვალდებულებები უკავშირდება მოგების გადასახადებს, რომლებიც ერთიდაიგივე საგადასახადო უწყებამ დაუწესა ამავე საწარმოს.

### კლიენტთა ანგარიშები

მომხმარებელთა ანგარიშები თავდაპირველად აღიარებას ექვემდებარება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში მისაღები თანხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით და ნებისმიერი სხვაობა წმინდა შემოსავალსა და დაფარულ თანხებს შორის აისახება სრული მოგება-ზარალის ანგარიშში ვალის საბოლოო გადახდამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შეთოდის გამოყენებით.

### რეზერვები

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როცა ბანკს გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინება და აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

## დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრკელება)  
(ათასობით ქართულ ლარში)

---

### ფინანსური გარანტიის კონტრაქტები

ბანკის მიერ დადებული ფინანსური გარანტიის კონტრაქტები, წარმოადგენენ საკრედიტო ოპერაციების უზრუნველყოფას, რომელიც ითვალისწინებს გადახდას კომპენსაციის სახით, იმ შემთხვევაში, თუ დებიტორი სასესხო ინსტუმენტის თავდაპირველი, ან მოდიფიცირებული პირობების შესაბამისად ვერ შეძლებს დროულად გადახდას. ამგვარი ფინანსური გარანტიის კონტრაქტები თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით ექვემდებარება. შემდგომში, ისინი ფასდებიან იმ თანხით, რომელიც უფრო მეტია: (ა) თანხა, რომელიც აღიარებულია რეზერვის სახით, ბასს 37 „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“-ს შესაბამისად და (ბ) თავდაპირველად აღიარებული ღირებულებით, ფინანსური გარანტიებიდან, ან პრემიის სახით მომავალში მისაღები შემოსავლების დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

### პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გაღივების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოგების მიღება ნავარაუდევია.

### სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალში შენატანების აღიარება ხდება თვითღირებულებით.

ახალი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები, ბიზნეს კომბინაციების გარდა, აკლდება კაპიტალს ყველა დაკავშირებული მოგების გადასახადის გამოკლების შემდეგ.

### საპენსიო და სხვა ვალდებულებები

ბანკს არ გააჩნია რაიმე სხვა საპენსიო პროექტი გარდა საქართველოს სახელმწიფო საპენსიო ფონდისა. გარდა ამისა, ბანკს არ გააჩნია პენსიაზე გასვლის შემდგომი ვალდებულება ან სხვა მნიშვნელოვანი კომპენსაცია, რომელიც საჭიროებს დარიცხვას.

### შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

#### *საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება*

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი, წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზირებულ ღირებულებას და რომლის საშუალებით საპროცენტო შემოსავალი, ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების, ან შემოღინების დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა მიმდინარე ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან თუ მისაღებია, უფრო მოკლე ვადაში.

## დასურული სააქციო საზოგადოება პროგრამს განვი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრკელება)  
(ათასობით ქართულ ლარში)

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული დანაკარგების გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

სამართლიანი ღირებულებით ასახული აქტივებიდან მიღებული პროცენტი აისახება საპროცენტო შემოსავალში.

### *საკომისიო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება*

სესხის საკომისიო გადასახადი ექვემდებარება გადავადებას მასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და კორექტირდება სესხის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე. სადაც შესაძლებელია რომ სასესხო ვალდებულებამ წარმოშვას კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიო გადავადება დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და კორექტირდება სესხის ეფექტურ ამონაგებზე. სადაც შეუძლებელია რომ სასესხო ვალდებულებამ წარმოშვას კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმება, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში სასესხო ვალდებულების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც სასესხო ვალდებულების ხელშეკრულების ვადა იწურება ყველანაირი სასესხო ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში ვადის ამოწურვის დღეს. სასესხო მომსახურების საკომისიოს შემოსავლად აღიარება ხდება მომსახურების გაწევის დროს. ყველა სხვა საკომისიოს აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

### უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება ხდება ბალანსის შედგენის თარიღისათვის ბანკთაშორის ბირჟაზე დაფიქსირებული კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გაცვლით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება როგორც წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე.

### ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ბანკმა გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	დეკემბერი 31, 2009	დეკემბერი 31, 2008
ლარი/1 აშშ დოლარი	1.6858	1.6670
ლარი/1 ევრო	2.4195	2.3648

## დასურული სააქციო საზოგადოება პროგრამს განვი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრძანება)  
(ათასობით ქართულ ლარში)

---

### ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება წმინდა თანხით, იმ შემთხვევაში თუ ბანკს აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების გაქვითვა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. იმ ფინანსური აქტივის გადაცემის შემთხვევაში, რომელიც არ აკმაყოფილებს ფინანსური აქტივის ჩამოწერის პირობებს, ბანკი არ ქვითავს გადაცემულ ფინანსურ აქტივს მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

### ხელმძღვანელობის განსჯის სფეროები და შეფასებების არასარწმუნოების წყარო

ბანკის ფინანსური ანგარიშგება მოითხოვს ხელმძღვანელობის შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებსაც გაეღენა აქვს საანგარიშგებო თარიღისათვის აქტივებისა და ვალდებულებების წარმოდგენილ თანხებზე და აღიარებულ მოგებასა და ზარალზე დასრულებული პერიოდის განმავლობაში. ხელმძღვანელობა უწყვეტობის პრინციპით აფასებს დაშვებებსა და დასკვნებს. ხელმძღვანელობის შეფასება ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომელიც მართებულად ითვლება მოცემულ გარემოებებში. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ დაშვებებისაგან სხვადასხვა პირობებში. ბანკის ფინანსური მდგომარეობის წარმოდგენისათვის მნიშვნელოვნად ითვლება შემდეგი შეფასებები და დაშვებები:

## დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრძნობა)  
(ათასობით ქართულ ლარში)

### სესხების გაუფასურების რეზერვი

ბანკი რეგულარულად განიხილავს საკუთარ სესხებს გაუფასურების შეფასების მიზნით. გაუფასურების დანაკარგების აღიარების მიზნით ბანკი საკუთარი სესხებისა და მოთხოვნების პორტფელში ადგენს სესხების გაუფასურების რეზერვს. ბანკი სესხების გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებულ ბუღალტრულ დაშვებებს მიიჩნევს შეუსაბამობის მთავარ წყაროდ, რადგან (I) არსებობს დიდი ალბათობა მათი პერიოდული ცვლილებისა, იმის გამო რომ მომავალი გადაუხდელობის შეფასება და გაუფასურებულ სესხებთან და ავანსებთან დაკავშირებული დანაკარგების განსაზღვრა დაფუძნებულია იმ პერიოდისთვის არსებულ ინფორმაციაზე და (II) ბანკის მიერ განსაზღვრულ დანაკარგებსა და რეალურ დანაკარგებს შორის ნებისმიერი მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიწვევს ბანკის მხრიდან ანარიცხების ისეთ კორექტირებას, რომელმაც მნიშვნელოვანი თანხის შემთხვევაში შეიძლება მატერიალური გავლენა იქონიოს მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბანკი ხელმძღვანელობა პროფესიულ განსჯას ეყრდნობა ნებისმიერი გაუფასურების დასადგენად იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და ისტორიული გამოცდილების მონაცემები მსგავსი მსესხებლების შესახებ მწირია. ბანკი ფულადი სახსრების მოძრაობაში ცვლილებებს განსაზღვრავს წინა პერიოდის გამოცდილებაზე და ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც უთითებენ ჯგუფში შემავალი მსესხებლის გადახდის სტატუსის საწინააღმდეგო ცვლილებაზე და აგრეთვე ადგილობრივი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, რომლებიც უკავშირდება ჯგუფში შემავალი აქტივების ამოღების შესაძლებლობის არ არსებობას. ხელმძღვანელობა გაუფასურების დასადგენად ეყრდნობა ჯგუფში არსებული სესხების მსგავსი საკრედიტო რისკისა და გაუფასურების ობიექტური საფუძვლის მქონე სესხებზე განცდილ ისტორიულ დანაკარგებს. ბანკი იყენებს ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას და აკორექტირებს სესხების ჯგუფის შესახებ არსებულ მონაცემებს იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც აქამდე არ ასახულა ისტორიულ მონაცემებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი ფინანსურ ანგარიშგებაში განისაზღვრა არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების საფუძველზე. ბანკსთვის რთულია ამ ეტაპზე გაითვალისწინოს რა ცვლილებებია მოსალოდნელი ამ პირობებში საქართველოში და რა გავლენა ექნება მომავალ პერიოდში ამ ცვლილებებს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობაზე.

2009 და 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემულმა სესხებმა მთლიანად შეადგინა 6,113 ათასი და 2,919 ათასი ლარი, გაუფასურების დანაკარგებმა კი – 151 ათასი და 75 ათასი ლარი.

## დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრძნობა)  
(ათასობით ქართულ ლარში)

*ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდი*  
ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენა წარმოადგენს ხელმძღვანელობის მსჯელობის საგანს მსგავს აქტივებთან არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელი მოხმარების, საგარეულო ტექნიკური მოძველების ტენდენციებს, ფიზიკური მოხმარების პერიოდსა და ცვეთას, აგრეთვე აქტივის ფიზიკურ საოპერაციო გარემოს. ცვლილებამ რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილ პირობათაგანში, ან შეფასებაში შეიძლება გამოიწვიოს ცვეთის მომავალი განაკვეთის კორექტირების აუცილებლობა.

*გადავადებული საგადასახადო აქტივები*  
ბანკის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ აუცილებელი არ არის გადავადებული საგადასახადო აქტივების შეფასების რეზერვის შექმნა ბალანსის შედგენის თარიღისათვის, ვინაიდან საგარეულოდ მოხდება გადავადებული საგადასახადო აქტივების სრული რეალიზაცია. გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულებამ 2009 და 2008 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 131 ათასი და 95 ათასი ლარი.

### ახალი და შესწორებული სტანდარტების მიღება

მიმდინარე წელს ბანკმა მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა და ფინანსური აღრიცხვის ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის მიერ ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც შეესაბამება მის ოპერაციებს და ძალაშია 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ანგარიშგების პერიოდისათვის. ახალი და შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღებას არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი ცვლილებები ბანკის ბუღალტრულ პოლიტიკაში, რაც გავლენას მოახდენდა მიმდინარე წელს, ან წინა პერიოდებში წარმოდგენილ თანხებზე.

ბასს 1 “ფინანსური ანგარიშგების წარდგენი“-ს ცვლილებები - 2007 წლის 6 სექტემბერს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ბასს 1-ის ცვლილებები, რომლებიც მოითხოვს კაპიტალში არასაკუთრებრივი ცვლილებების წარმოდგენას. იგი ასევე ცვლის პირველადი ფინანსური ანგარიშგების სახელწოდებებს, როგორც ამას ითვალისწინებს ფასს, მაგრამ არ მოითხოვს, რომ მათი სახელები შესწორდეს საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაშიც. ბასს 1-ის ცვლილება ძალაშია 2009 წლის 1 იანვრით დაწყებული პერიოდიდან.

### გამოცემული და ჯერ არ მიღებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ხელმოწერის დღისათვის, გარდა იმ სტანდარტებისა და ინტერპრეტაციებისა, რომლებიც ბანკმა მიიღო მათ ძალაში შესვლამდე, გამოცემულ იქნა, თუმცა ძალაში არ იყო შესული შემდეგი სტანდარტები და ინტერპრეტაციები.

## დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები  
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრძნობა)  
(ათასობით ქართულ ლარში)

ფასს 3 „საწარმოთა გაერთიანება“ – ბასს-მ 2008 წლის იანვარში გამოსცა ფასს 3 და მასთან დაკავშირებული ბასს 27-ის „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“-ს ცვლილებები, მას შემდეგ რაც დაასრულა შვილობილი კომპანიების შესყიდვისა და გაყიდვის პროექტი. ისინი ძალაშია 2009 წლის 1 ივლისით დაწყებული ბუღალტრული ანგარიშგების პერიოდისათვის, თუმცა ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას 2007 წლის 1 იანვრით დაწყებული ანგარიშგების პერიოდისათვის.

2008 წლის მაისში ბასს-მ გამოსცა ფასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“-ს და ბასს 27-ის „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“-ს შესწორება, რომელიც ცვლის ინვესტორების მიერ შვილობილ, ერთობლივად კონტროლირებად და მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციის ღირებულების აღრიცხვის წესს. ისინი ძალაშია 2009 წლის 1 ივლისით დაწყებული ან შემდგომი ანგარიშგების პერიოდისათვის.

ფასს 2 „წილობრივი გადახდა“ – 2009 წლის ივნისში ბასს-მ გამოსცა ფასს 2-ის „წილობრივი გადახდა“-ს ცვლილებები. ეს ცვლილებები აზუსტებს ფასს 2-ის მასშტაბებს და წარმოგვიდგენს დამატებით ინსტრუქციებს ჯგუფში წილობრივი გადახდების გარიგებების ასახვასთან მიმართებაში. ისინი ძალაშია 2010 წლის 1 იანვრით დაწყებული ანგარიშგების პერიოდისათვის.

ბასს 17 „იჯარა“ – ბასს 17-ის „იჯარა“-ს ცვლილება გამოიცა 2009 წელს. ცვლილებების თანახმად იჯარით აღებული ქონების კლასიფიკაციასთან შეუსაბამობის შემცირების მიზნით გაუქმდა იჯარით აღებული მიწის კლასიფიკაციის წესი. ცვლილებები ძალაშია 2010 წლის 1 იანვრით დაწყებული ან შემდგომი პერიოდისათვის.

ფაისკ 9 „ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გადამოწმება“ მოითხოვს, რომ არ უნდა მოხდეს იმის შეფასება უნდა გამოიყოს, თუ არა ჩართული ფინანსური ინსტრუმენტები მთავარი კონტრაქტისაგან თავდაპირველი აღიარებისას, მანამ სანამ კონტრაქტში არ შევა რაიმე სახის ცვლილებები. ფაისკ 9-ს გაგვჩვენა არ აქვს ბანკის მოგებასა და ზარალზე, ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

ფაისკ 18 „კლიენტებისაგან აქტივების გადაცემა“ გამოიცა მიმდებარე მიერ კლიენტების მიერ გადაცემული ძირითადი საშუალებების აღრიცხვის წესიდან გადახვევის პრაქტიკასთან მიმართებაში. ინტერპრეტაცია ითვალისწინებს, რომ როდესაც გადასაცემი ძირითადი საშუალება აკმაყოფილებს აქტივის განმარტებას მიმდებარე თვალსაზრისით, მან ეს აქტივი უნდა აღიაროს სამართლიანი ღირებულებით გადაცემის თარიღისათვის მის კრედიტში შემოსავლების აღიარებით. ინტერპრეტაცია გამოყენებულ უნდა იქნას 2009 წლის 1 ივლისის შემდგომ პერიოდში შექმნილი კლიენტებისაგან გადაცემულ აქტივებთან მიმართებაში.

ბასს 27 – 2008 წლის დეკემბერში სტანდარტი შეიცვალა როგორც საწარმოთა გაერთიანების პროექტის მეორე ფაზა. პროექტის ეს ფაზა ერთობლივად განხორციელდა აშშ ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭოსთან ერთად. ცვლილება პირდაპირ უკავშირდებოდა არაკონტროლირებად წილს და შვილობილ კომპანიაში კონტროლის დაკარგვის ანგარიშგებას. პროექტის მეორე ფაზის დასასრულს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა შეცვლილი ბას 27-ი, ხოლო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭომ - ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭოს უწყება № 160 „არაკონტროლირებადი წილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში“ შეცვლილი ფასს 3-ის საწარმოთა გაერთიანებისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საბჭოს უწყება №141 (შეიცვალა 2007 წ.) „საწარმოთა გაერთიანები“-ს პარალელურად. შეცვლილი სტანდარტი გამოყენებულ უნდა იქნას

## დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრძანება)  
(ათასობით ქართულ ლარში)

---

2009 წლის 1 ივლისით დაწყებული ან შემდგომი პერიოდისათვის. ასევე ნებადართულია ადრე გამოყენებაც. თუმცა საწარმომ 2009 წლის 1 ივლისამდე არ უნდა გამოიყენოს შესწორებები თუ ასევე არ იყენებს ფასს 3-ს. (შეიცვალა 2008 წელს).

ფინანსური ინსტრუმენტები: კლასიფიკაცია და შეფასება (დაქვემდებარების პროექტი) – 2009 წლის ივლისში ბასსს-მ განხორციელა დაქვემდებარების პროექტი (დპ), რომელიც წარმოადგენს ბასსს-ს ბასს 39-ის „ალიარება და შეფასება“-ს ჩანაცვლების პროექტის ნაწილს. დაქვემდებარების პროექტი მიზნად ისახავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასების ახალი მოდელის შემოღებას. ყველა ის ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომელთაც მოიცავს ბასს 39 შეფასდება ან თვითღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით. ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაც უმთავრესი სასესხო მაჩვენებლები გააჩნიათ და იმართებიან კონტრაქტის საფუძველზე, ფასდებიან ამორტიზებული ღირებულებით, თუ მოგებასა და ზარალში არ აისახებიან სამართლიანი ღირებულებით. ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აისახებიან სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებულნი იქნებიან, ან როგორც მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული, ან კაპიტალში ინვესტიციების შემთხვევაში, რომლებიც არ არიან გამოზნული გასაყიდად, გამოცხადდებიან დაუბრუნებლად და სამართლიანი ღირებულებით აისახებიან სრული მოგება-ზარალის ანგარიშში. ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტში და მათთან დაკავშირებული წარმოებული ინსტრუმენტები, რომელთაც მოიცავს ბასს 39 უნდა აისახოს სამართლიანი ღირებულებით, ანუ არაკორტირებული კაპიტალის ინსტრუმენტები არ შეიძლება აისახოს თვითღირებულებით ცვეთის გამოკლებით, როდესაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების მართებულად დადგენა, როგორც ამას ამჟამად მოითხოვს ბასს 39. დაქვემდებარების პროექტი არ იძლევა ნებას რეკლასიფიკაცია განხორციელდეს ამორტიზებულ ღირებულებაზე, მოგება-ზარალში აღიარებულ სამართლიანი ღირებულებაზე, ან სრული მოგება-ზარალის ანგარიშში ასახულ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ არის განსაზღვრული, მაგრამ ბასსს-ს კლასიფიკაციისა და ხელმძღვანელობის ახალი მოდელის დასრულებას ისე გეგმავს, რომ საშუალება მისცეს საწარმოებს ნებაყოფლობით მიიღონ ახალი მოდელი 2009 წლის დასასრულისათვის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

# დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრკელება)  
 (ათასობით ქართულ ლარში)

## 4. რეკლასიფიკაცია

### რეკლასიფიკაცია

გარკვეული რეკლასიფიკაცია გაუკეთდა 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილ მონაცემებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ვინაიდან ეს უკანასკნელი უფრო მართებულად წარმოგვიდგენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას.

რეკლასიფიკაციის ბუნება	რაოდენობა	ფინანსური მდგომარეობის ანგარიში/სრული მოგება-ზარალის ანგარიშის მუხლი წინა ანგარიშიდან	ფინანსური მდგომარეობის ანგარიში/სრული მოგება-ზარალის ანგარიშის მუხლი მიმდინარე ანგარიშიდან
90 დღიანი დაფარვის ვადის მქონე ბანკების მიმართ მოთხოვნების რეკლასიფიკაცია	5,867	ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში სხვა აქტივები	მოთხოვნები ბანკების მიმართ
საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული სავალდებულო რეზერვის საქართველოს ეროვნულ ბანკში ფულსა და ნაშთებში რეკლასიფიკაცია	4		ფული და ნაშთები სებ-ში
პროფესიული მომსახურების გადასახადის ხარჯის რეკლასიფიკაცია საოპერაციო ხარჯებში	32	საკომისიო ხარჯები	საოპერაციო ხარჯები

## დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრკელება)  
 (ათასობით ქართულ ლარში)

### 5. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2007 წლის 30 ნოემბრიდან (დაარსების თარიღი) 2008 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისათვი ს
<b>საპროცენტო შემოსავალი მოიცავს:</b>		
საპროცენტო შემოსავალი ამორტიზირებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე		
-საპროცენტო შემოსავალი არ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებზე	1,099	-
-საპროცენტო შემოსავალი ინდივიდუალურად გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებზე	212	-
-საპროცენტო შემოსავალი ჯგუფურად გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებზე	402	1,236
<b>სულ საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>1,713</b>	<b>1,236</b>
საპროცენტო შემოსავალი ამორტიზირებული ღირებულებით ასახურ ფინანსურ აქტივებზე:		
საპროცენტო სარგებელი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე	1,462	29
საპროცენტო სარგებელი ბანკების მიმართ მოთხოვნებზე	251	629
საპროცენტო სარგებელი დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებზე	-	578
<b>სულ საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>1,713</b>	<b>1,236</b>
<b>საპროცენტო ხარჯი მოიცავს:</b>		
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ვალდებულებებზე:		
საპროცენტო ხარჯი სუბორდინირებულ სესხებზე	(106)	(39)
საპროცენტო ხარჯი კლიენტთა ანგარიშებზე	(3)	-
<b>სულ საპროცენტო ხარჯი</b>	<b>(109)</b>	<b>(39)</b>
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური აქტივების დანაკარგების რეზერვის ფორმირებამდე</b>	<b>1,604</b>	<b>1,197</b>

**დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი**

შინადასრულებული ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრძანება)  
 (ათასობით ქართულ ლარში)

**6. გაუფასურების დანაკარგები რეზერვო**

გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობა კლიენტებზე გაცემულ სესხებზე მოიცავს:

	კლიენტებზე გაცემული სესხები
ნოემბერი 30, 2007 (დაარსების თარიღი)	-
რეზერვები	76
<b>დეკემბერი 31, 2008</b>	<b>76</b>
რეზერვები	75
<b>დეკემბერი 31, 2009</b>	<b>151</b>

**7. წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან**

წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან შეადგენს:

	2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2007 წლის 30 ნოემბრიდან (დაარსების თარიღი) 2008 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისათვის
სავაჭრო ოპერაციები, წმინდა	136	(10)
უცხოური ვალუტის გადაფასებისას მიღებული სხვაობა, წმინდა	(81)	413
<b>სულ წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან</b>	<b>55</b>	<b>403</b>

**8. საკომისიო შემოსავალი და ხარჯი**

საკომისიო შემოსავლებსა და ხარჯებს შეადგენს:

	2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2007 წლის 30 ნოემბრიდან (დაარსების თარიღი) 2008 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისათვის
<b>საკომისიო შემოსავალი:</b>		
ანგარიშსწორება	13	2
ფულადი ოპერაციები	6	1
დოკუმენტური ოპერაციები	3	-
უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები სხვა	2	-
	2	5
<b>სულ საკომისიო შემოსავალი</b>	<b>26</b>	<b>8</b>
<b>საკომისიო ხარჯი:</b>		
ფულადი ოპერაციები	(4)	(1)
საკორესპონდენტო ბანკის მომსახურება სხვა	(4)	(1)
	(1)	(1)

**დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი**

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრკელება)  
 (ათასობით ქართულ ლარში)

სულ საკომისიო ხარჯი	(9)	(3)
<b>9. საოპერაციო ხარჯები</b>		
საოპერაციო ხარჯები მოიცავს:		
	2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2007 წლის 30 ნოემბრიდან (დაარსების თარიღი) 2008 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისათვის
ხელფასები და პრემიები	1,159	1,380
ცვეთა და ამორტიზაცია	320	219
პროფესიული მომსახურება	81	142
მივლინების ხარჯები	75	20
საკომუნიკაციო ხარჯები	73	29
დაზღვევის ხარჯები	52	7
გადასახადები მოგების გადასახადის გამოკლებით	42	73
კომუნალური ხარჯები	33	11
სარეკლამო ხარჯები	22	74
წარმომადგენლობითი ხარჯები	10	11
საფოსტო ხარჯები	7	9
დაცვის ხარჯები	7	2
საოპერაციო ლიზინგი	5	64
სხვა ხარჯები	185	133
<b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>	<b>2,071</b>	<b>2,174</b>

**10. მობუბის ბაღასახალი**

ბანკი საგადასახადო ანგარიშგებას აწარმოებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც განსხვავდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან.

გარკვეული ხარჯების არასაგადასახადო მიზნით გამოვიქვითვისა და გადასახადისაგან თავისუფალი შემოსავლებიდან გამომდინარე, ბანკი მუდმივად განიცდის საგადასახადო განსხვავებებს.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გადავადებული გადასახადები ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების წმინდა საგადასახადო ეფექტებს. 2009 და 2008 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დროებითი სხვაობები ძირითადად ასოცირებულია შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების განსხვავებულ მეთოდებთან და გარკვეული აქტივების აღრიცხულ ღირებულებასთან.

მონაცემების შეჯამებისას გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კორპორატიულ საგადასახადო 15%-იან განაკვეთს, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე კორპორატიული საწარმოები იხდიან საგადასახადო მოგებაზე.

**დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი**

**შინაინურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები**  
**2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრძანება)**  
*(ათასობით ქართულ ლარში)*

დროებითი სხვაობები 2009 და 2008 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს:

	დეკემბერი 31, 2009	დეკემბერი 31, 2008
<b>დასაქვითი დროებითი სხვაობა:</b>		
რეზერვები გარანტიებსა და აკრედიტივებზე	-	60
სხვა აქტივები	32	-
<b>სულ დასაქვითი დროებითი სხვაობა</b>	<b>32</b>	<b>60</b>
<b>დასაბეგრი დროებითი სხვაობა:</b>		
ძირითადი საშუალებები	(275)	(293)
კლიენტებზე გაცემული სესხები	(66)	-
სხვა აქტივები	-	(20)
<b>სულ დასაბეგრი დროებითი სხვაობა</b>	<b>(341)</b>	<b>(313)</b>
წმინდა გადავადებული დროებითი სხვაობები	(309)	(253)
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები		
კანონით განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთით 15%	(46)	(38)
დანაკარგების გადატანა მომავალ პერიოდზე	177	133
<b>წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივები</b>	<b>131</b>	<b>95</b>

კავშირი საგადასახადო ხარჯებსა და ბუღალტრულ მოგებას შორის, 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და დაწყებული 2007 წლის 30 ნოემბრიდან 2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ პერიოდამდე, აიხსნება შემდეგნაირად:

	2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2007 წლის 30 ნოემბრიდან (დაარსების თარიღი) 2008 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისათვის
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე	(443)	(640)
კანონით განსაზღვრული გადასახადის განაკვეთი (15%)	(66)	(96)
მუდმივი ცვლილებების საგადასახადო ეფექტი	30	1
<b>მოგების გადასახადის სარგებელი</b>	<b>(36)</b>	<b>(95)</b>
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
ცვლილებები გადავადებული მოგების საგადასახადო ნაშთებში	(36)	(95)
<b>მოგების გადასახადის სარგებელი</b>	<b>(36)</b>	<b>(95)</b>
<b>გადავადებული მოგების საგადასახადო აქტივები</b>	<b>2009</b>	<b>2008</b>
1 იანვრის მდგომარეობით – გადავადებული საგადასახადო აქტივები	95	-
ცვლილება მოგებასა და ზარალში ასახულ გადავადებული მოგების გადასახადის ნაშთებში	36	95
<b>31 დეკემბრის მდგომარეობით – გადავადებული საგადასახადო აქტივები</b>	<b>131</b>	<b>95</b>

**დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი**

ზინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრკელება)  
 (ათასობით ქართულ ლარში)

**11. ფული და ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში („სეპ“-ი)**

	<u>დეკემბერი 31, 2009</u>	<u>დეკემბერი 31, 2008</u>
ფული	1,074	527
ნაშთები სეპ-ში	189	72
<b>სულ ფული და ნაშთები სეპ-ში</b>	<b><u>1,263</u></b>	<b><u>599</u></b>

2009 და 2008 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებულ ნაშთებში შემავალი სავალდებულო მინიმალური სავალდებულო დეპოზიტი წარმოდგენილია შეზღუდული ნაშთებით 7 ათასი და 4 ათასი ლარის ოდენობით.

ფული და ფულის ექვივალენტები ანგარიშგების მიზნებისათვის მოიცავს:

	<u>დეკემბერი 31, 2009</u>	<u>დეკემბერი 31, 2008</u>
ფული დანაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	1,263	599
სეპ-ში არსებული მინიმალური სავალდებულო დეპოზიტის გამოკლებით	(7)	(4)
<b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b>	<b><u>1,256</u></b>	<b><u>595</u></b>

**12. მოთხოვნები ბანკების მიმართ**

მოთხოვნები ბანკების მიმართ მოიცავს:

	<u>დეკემბერი 31, 2009</u>	<u>დეკემბერი 31, 2008</u>
ბანკებზე გაცემული სესხები და ავანსები	11	3,015
საკორესპონდენტო ანგარიშები სხვა ბანკებში	2,404	2,852
<b>სულ მოთხოვნები ბანკების მიმართ</b>	<b><u>2,415</u></b>	<b><u>5,867</u></b>

2009 და 2008 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკების მიმართ მოთხოვნები შესაბამისად მოიცავს დარიცხულ საპროცენტო სარგებელს 2 ათასი და 11 ათასი ლარის ოდენობით.

2009 და 2008 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს ბანკების მიმართ მოთხოვნები გააჩნია ერთი და ორი ბანკის მიმართ, რომელთა რაოდენობა ინდივიდუალურად აღემატება ბანკის კაპიტალის 10%-ს.

2009 და 2008 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო რისკისადმი მაქსიმალურმა დაქვემდებარებამ ბანკებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებზე შესაბამისად შეადგინა 2,415 ათასი და 5,867 ათასი ლარი.

**დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი**

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრკელება)  
 (ათასობით ქართულ ლარში)

**13. კლიენტებზე გაცემული სესხები**

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	დეკემბერი 31, 2009	დეკემბერი 31, 2008
კლიენტებზე გაცემული სესხები	6,071	2,902
დარიცხული პროცენტი	42	18
	<u>6,113</u>	<u>2,920</u>
გაუფასურების დანაკარგების რეზერვის გამოკლებით	(151)	(76)
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b><u>5,962</u></b>	<b><u>2,844</u></b>

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2007 წლის 30 ნოემბრით დაწყებული 2008 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისათვის გაუფასურების რეზერვის მოძრაობა მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს სესხებს მიღებული უზრუნველყოფის მიხედვით და არ წარმოადგენს უზრუნველყოფის სამართლიან ღირებულებას:

	დეკემბერი 31, 2009	დეკემბერი 31, 2008
სესხები უზრუნველყოფილი უძრავი ქონებით	4,385	910
სესხები უზრუნველყოფილი კომბინირებული უზრუნველყოფით	1,385	1,653
სესხები უზრუნველყოფილი სატრანსპორტო საშუალებებით	50	-
სესხები უზრუნველყოფილი ფულადი სახსრებით	49	35
სესხები უზრუნველყოფილი საწარმოთა გარანტიებით	48	-
სესხები უზრუნველყოფილი სხვა კომპანიების აქციებით	-	246
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	45	-
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b><u>5,962</u></b>	<b><u>2,844</u></b>

	დეკემბერი 31, 2009	დეკემბერი 31, 2008
<b>ანალიზი დარგების მიხედვით:</b>		
ვაჭრობა	3,348	1,398
ფიზიკური პირები	1,369	15
ფინანსური სექტორი	1,131	831
მშენებლობა	65	600
სოფლის მეურნეობა	49	-
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b><u>5,962</u></b>	<b><u>2,844</u></b>

**დასურული სააქციო საზოგადოება პრობრემს ბანკი**

**ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები**  
**2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრკელება)**  
*(ათასობით ქართულ ლარში)*

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხი მოიცავს შემდეგ პროდუქტებს:

	დეკემბერი 31, 2009	დეკემბერი 31, 2008
კლიენტებზე გაცემული სესხები	886	16
იპოთეკური სესხები	500	-
სამანქანო სესხები	47	-
	<u>1,433</u>	<u>16</u>
გაუფასურების დანაკარგების რეზერვის გამოკლებით	<u>(64)</u>	<u>(1)</u>
<b>სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები</b>	<b><u>1,369</u></b>	<b><u>15</u></b>

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკმა ორ კლიენტზე სესხის სახით გასცა 1,852 ათასი ლარი, რაც შესაბამისად აღემატება ბანკის კაპიტალის 5%-ს.

2009 და 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების დიდი წილი (სრული პორტფელის 100%) გაიცა საქართველოში მოღვაწე კომპანიებსა და აქ მცხოვრებ ფიზიკურ პირებზე, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან გეოგრაფიულ კონცენტრაციას ერთ რეგიონში.

2009 და 2008 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემულმა სესხებმა მოიცვა სესხები 242 ათასი და ნული ლარის ოდენობით გადახედული შეთანხმებული პირობებით. სხვაგვარად ეს სესხები ჩაითვლებოდა გაუფასურებულად, ან ვადაგადაცილებულად.

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს კლიენტებზე გაცემული სესხების ანალიზს გაუფასურების გათვალისწინებით:

	დეკემბერი 31, 2009			დეკემბერი 31, 2008		
	საბალანსო ღირებუ- ლება რეზერვის ფორმირე- ბამდე	გაუფასუ- რების რეზერვი	საბალანსო ღირებუ- ლება	საბალანსო ღირებუ- ლება რეზერვის ფორმირე- ბამდე	გაუფასუ- რების რეზერვი	საბალანსო ღირებუ- ლება
კლიენტებზე გაცემული სესხები, რომლებიც ინდივიდუალურად განისაზღვრება როგორც გაუფასურებული	759	(87)	672	-	-	-
კლიენტებზე გაცემული სესხები, რომლებიც ერთობლივად განისაზღვრება როგორც გაუფასურებული	1,433	(64)	1,369	2,920	(76)	2,844
არ გაუფასურებული სესხები	<u>3,921</u>	<u>-</u>	<u>3,921</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>-</u>
<b>სულ</b>	<b><u>6,113</u></b>	<b><u>(151)</u></b>	<b><u>5,962</u></b>	<b><u>2,920</u></b>	<b><u>(76)</u></b>	<b><u>2,844</u></b>

## დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრკელება)  
(ათასობით ქართულ ლარში)

### 14. ძირითადი საშუალებები

	შენობა- ნაგებობები და სხვა უძრავი ქონება	ავეჯი და მოწყობი- ლობა	კომპიუტერი და სხვა საოფისე აღჭურვი- ლობა	სატრანს- პორტო საშუალე- ბები	სხვა	კეთილმოწყობა	სულ
<b>თავდაპირველი ღირებულებით</b>							
ნოემბერი 30, 2007 (დაარსების თარიღი)	-	-	-	-	-	-	-
შესყიდვა	1,988	793	310	320	121	126	3,658
დეკემბერი 31, 2008	1,988	793	310	320	121	126	3,658
შესყიდვა	-	-	1	-	-	-	1
რეალიზაცია	-	-	-	-	-	(126)	(126)
დეკემბერი 31, 2009	1,988	793	311	320	121	-	3,533
<b>დაგროვილი ცვეთა და ამორტიზაცია</b>							
ნოემბერი 30, 2007 (დაარსები თარიღი)	-	-	-	-	-	-	-
პერიოდის დარიცხვა	4	34	9	36	14	118	215
დეკემბერი 31, 2008	4	34	9	36	14	118	215
წლის დარიცხვა შემცირება	40	119	38	65	31	2	295
რეალიზაციისას	-	-	-	-	-	(120)	(120)
დეკემბერი 31, 2009	44	153	47	101	45	-	390
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>							
დეკემბერი 31, 2009	<u>1,944</u>	<u>640</u>	<u>264</u>	<u>219</u>	<u>76</u>	<u>-</u>	<u>3,143</u>
დეკემბერი 31, 2008	<u>1,984</u>	<u>759</u>	<u>301</u>	<u>284</u>	<u>107</u>	<u>8</u>	<u>3,443</u>

## დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ზინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრძნობა)  
 (ათასობით ქართულ ლარში)

### 15. არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები
<b>თვითღირებულება</b>	
ნოემბერი 30, 2007 (დაარსების თარიღი)	-
შესყიდვა	200
დეკემბერი 31, 2008	200
შესყიდვა	27
დეკემბერი 31, 2009	227
<b>დაგროვილი ამორტიზაცია</b>	
ნოემბერი 30, 2007 (დაარსების თარიღი)	-
პერიოდის დარიცხვა	4
დეკემბერი 31, 2008	4
წლის დარიცხვა	25
დეკემბერი 31, 2009	29
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>	
დეკემბერი 31, 2009	<b>198</b>
დეკემბერი 31, 2008	<b>196</b>

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამებსა და ლიცენზიებს.

**დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი**

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრკელება)  
 (ათასობით ქართულ ლარში)

**16. სხვა აქტივები**

სხვა აქტივები მოიცავს:

	დეკემბერი 31, 2009	დეკემბერი 31, 2008
სხვა ფინანსური აქტივები, რომელიც ბასს 39-ის შესაბამისად აღიარებულია როგორც სესხი, ან მოთხოვნა: ავანსები და მოთხოვნები სხვა გარიგებებზე	11	73
სხვა არაფინანსური აქტივები: საგადასახადო ანგარიშსწორება, მოგების გადასახადის გარდა	2	120
<b>სულ სხვა აქტივები</b>	<b>13</b>	<b>193</b>

**17. კლიენტთა ანგარიშები**

კლიენტთა ანგარიშები მოიცავს:

	დეკემბერი 31, 2009	დეკემბერი 31, 2008
ამორტიზებული ღირებულებით ასახული: ვადიანი დეპოზიტები	65	11
მოთხოვნისთანავე გასანაღებელი თანხები	425	263
<b>სულ კლიენტთა ანგარიშები</b>	<b>490</b>	<b>274</b>

კლიენტთა ანგარიშებმა 2009 და 2008 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცვა დარიცხული პროცენტი ათასი და ნული ლარის ოდენობით.

2009 და 2008 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტთა ანგარიშები 3 ათასი და ნული ლარის ოდენობით გამოყენებულ იქნა როგორც გაცემული გარანტიების უზრუნველყოფა.

2009 და 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტთა ანგარიშები 418 ათასი (85%) და 271 ათასი (99%) ლარის ოდენობით განეკუთვნება ათ კლიენტს, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან კონცენტრაციას.

	დეკემბერი 31, 2009	დეკემბერი 31, 2008
ანალიზი დარგების მიხედვით:		
ვაჭრობა	230	234
მშენებლობა	162	22
ფიზიკური პირები	87	17
ენერგეტიკა	3	-
სოფლის მეურნეობა	3	-
სხვა	5	1
<b>სულ კლიენტთა ანგარიშები</b>	<b>490</b>	<b>274</b>

**დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი**

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრკელება)  
 (ათასობით ქართულ ლარში)

**18. სხვა ვალდებულებები**

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

	დეკემბერი 31, 2009	დეკემბერი 31, 2008
<b>სხვა ფინანსური ვალდებულებები:</b>		
კრედიტორები	26	38
<b>სხვა არა-ფინანსური ვალდებულებები:</b>		
გადასახადები მოგების გადასახადის გამოკლებით	17	27
სხვა	2	7
<b>სულ სხვა ვალდებულებები</b>	<b>45</b>	<b>72</b>

**19. სუბორდინირებული სესხი**

	ვალუტა	დაფარვის თარიღი	საპრო- ცენტო განაკვეთი %	დეკემბერი 31, 2009	დეკემბერი 31, 2008
დაკავშირებული მხარეებისაგან მიღებული სუბორდინირებული სესხი	ლარი	17 ივლისი, 2016	7%	1,542	1,436
<b>სულ სუბორდინირებული სესხი</b>				<b>1,542</b>	<b>1,436</b>

2009 და 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სუბორდინირებულმა სესხებმა მოიცვა დარიცხული პროცენტი და შესაბამისად შეადგინა 142 ათასი და 36 ათასი ლარი.

ბანკის გაკოტრების, ან ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ სესხის გადახდა განხორციელდება ბანკის მიერ ყველა სხვა კრედიტორის ვალდებულებების დაფარვისას.

**20. სააქციო კაპიტალი**

2009 და 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ავტორიზებული, გამოშვებული და შეტანილი სააქციო კაპიტალი შედგებოდა 12,000,000 ჩვეულებრივი აქციისგან თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებით 1 ლარი.

**დასურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი**

**ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები**  
**2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრკელება)**  
*(ათასობით ქართულ ლარში)*

**21. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები**

ჩვეული საქმიანობის პროცესში ბანკი კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით გამოიყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს გარესაბაღანსო რისკებით. აღნიშნული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავენ სხვადასხვა ხარისხის საკრედიტო რისკს არ არიან ასახული ბანკის ბალანსში.

ბანკი არასაბაღანსო ვალდებულებებთან მიმართებაში იმავე საკრედიტო და მართვის პოლიტიკით ხელმძღვანელობს რომელსაც იყენებს საბაღანსო ოპერაციებში.

პირობით ვალდებულებებზე დანაკარგების რეზერვა 2009 და 2008 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა ნული ლარი.

2009 და 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირობითი ვალდებულებები მოიცავს:

	<u>დეკემბერი 31, 2009</u>	<u>დეკემბერი 31, 2008</u>
<b>პირობითი და საკრედიტო ვალდებულებები</b>		
გაცემული გარანტიები და სხვა ვალდებულებები	87	501
სასესხო და აუთვისებელი საკრედიტო ხაზების ვალდებულებები	<u>539</u>	<u>825</u>
<b>სულ პირობითი და საკრედიტო ვალდებულებები</b>	<b><u>626</u></b>	<b><u>1,326</u></b>

საკრედიტო ხაზის ლიმიტის ფარგლებში კლიენტებზე დამატებითი სახსრების გაცემა მტკიცდება ბანკის მიერ თითოეული შემთხვევის განხილვის საფუძველზე, რომელიც დამოკიდებულია მსესხებელის ფინანსურ მდგომარეობაზე, სესხის მომსახურებასა და სხვა პირობებზე. 2009 და 2008 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი სახის გამოუყენებელმა საკრედიტო ხაზებმა შეადგინა 539 ათასი და 825 ათასი ლარი, შესაბამისად.

**პირობითი ვალდებულებები** – 2009 და 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ ჰქონია პირობითი ვალდებულებები.

**ვალდებულებები საოპერაციო ლიზინგზე** – 2009 და 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ ჰქონია მნიშვნელოვანი ვალდებულებები საოპერაციო ლიზინგზე.

**სასამართლო დავები** – 2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და 2007 წლი 30 ნოემბრით (დაასრების თარიღი) დაწყებული პერიოდთან ბანკს არ მიუღია პრეტენზიები საკუთარი კლიენტებისა და კონტრაგენტებისაგან. ხელმძღვანელობის აზრით რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად ფინანსურ ანარიშგებაში არ გათვალისწინებულა არანაირი რეზერვი.

## დახურული სააქციო საზოგადოება პროგრეს ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
2009 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაბრძნობა)  
(ათასობით ქართულ ლარში)

**გადასახადები** – საქართველოს კომერციული კანონმდებლობა, საგადასახადო კანონმდებლობის ჩათვლით სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთან არსებობს რისკი, რომ საგადასახადო ორგანოები გააკეთებენ შემთხვევით დასკვნებს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კანონის თავისებურად გაგებას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ამან შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა.

ამგვარმა უზუსტობებმა შეიძლება თავი იჩინოს ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებასა და გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ფორმირებისას. ამასთან ამგვარი უზუსტობა შეიზღუბებს უკავშირდებოდეს დროებითი სხვაობების შეფასებას რეზერვებზე და კლიენტებზე გაცემული სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების დანაკარგების რეზერვის აღდგენაზე, როგორც დასაბუხრი მოგების შემცირება. ბანკი მიიჩნევს, რომ მათ შეასრულეს საგადასახადო კანონის მიერ მოთხოვნილი გადასახადების გადახდა და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

**საოპერაციო გარემო** – მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა, საქართველოს კვლავ ახასიათებს ახლად შექმნილი ბაზრის გარკვეული თვისებები. ეს გულისხმობს, თუმცა არ შემოიფარგლება, ვალუტის კონტროლს, კონვერტაციაზე შეზღუდვებს, მაღალი ინფლაციის დონესა და სახელმწიფოს მიერ საკუთარი სტრუქტურული ცვლილებების განსახორციელებისათვის მუდმივ ძალისხმევას.

შედეგად, წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვედდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი, და სხვა კანონიერი და ფისკალური დაბრკოლებები სირთულეებს უქმნიან საქართველოში ამჟამად მომუშავე საწარმოებს. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულად დონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

**უწყვეტი გლობალური ლიკვიდურობის რისკი** – ფინანსურმა ბაზარმა, როგორც გლობალურ დონეზე, ასევე საქართველოში განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები და ლიკვიდურობის შეზღუდვები მას შემდეგ რაც დაიწყო გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელიც გავრცელდა 2007 წლის შემოდგომაზე და გამწვავდა 2008 წლის აგვისტოდან. ამ მოვლენების გვერდითი ეფექტი იყო ზოგადად ფინანსური ბაზრის სტაბილურობაზე მეტი მზრუნველობა და კონტრაგენტების სიძლიერე, და მრავალმა საკრედიტო დაწესებულებამ და ორგანიზაციამ ინვესტორმა დაფინანსება შეუმცირა მსესხებლებს, რამაც საგრძნობლად შეამცირა გლობალური ფინანსური სისტემის ლიკვიდურობა.

